ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1429438

ნომერი: AR1241899

თარიღი : 04.08.2014

გაცემის თარიღი : 11.08.2014

გაცნობის თარიღი : 12.08.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , კორპ.N20-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 01/033);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი ტრაპაიძე პ/ნ 37001019069
- სამტრედია ნ.კეცხოველის ქ. N 247

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1241899 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.17.10.001.033) სამშენებლოდ განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს დაინტერესებაში არსებული საკადასტრო ერთეული მდებარეობს ერთ–ერთი მთავარი ქუჩის უშუალო სიახლოვეს აქედან და ასევე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.17.10.001.033) კონფიგურაციიდან გამომდინარე წარმოადგენს სამშენებლოდ შეუსაბამო საკადასტრო ერთეულს, შესაბამისად მისი დამოუკიდებლად სამშენებლოდ განვითარება არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებით თვალსაზრისით, არ მიაჩნია შესაძლებლად. თუმცა მისი სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: #01.17.10.001.071) გაერთიანების შემდგომ, ერთიანი კონცეფციის დამუშავებით.

აქვე ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. თქვენს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1). „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიან ზონას, მათ შორის კარკასს განაშენიანების დომინირებული სახეობის გარეშე (იხ. დანართი).

დამატებით გაცნობრებთ, რომ აღნიშნული საკადასტრო ერთეულზე (საკადასტრო კოდი: #01.17.10.001.033) ვრცელდება განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა სადაც განსაკუთრებული ყურადგება ექცევა არქიტექტურული ობიექტების იერსახეს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge